ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 490

ქალაქი ქუთაისი 28 ნოემბერი 2023 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორად
სტრუქტურულ ერთეულში - ადმინისტრაციულ განყოფილებაში
(საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის საქმიანობის მიმართულებით),
სტაჟიორის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების
შ ე ს ა ხ ე ბ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორად სტრუქტურულ ერთეულში - ადმინისტრაციულ განყოფილებაში (საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის საქმიანობის მიმართულებით), 2023 წლის 15 ნოემბრიდან 2023 წლის 24 ნოემბრის ჩათვლით, გამოცხადებული იყო სტაჟიორის შესარჩევი კონკურსი. ამასთან, სტაჟირების მსურველი პირების მიერ წარდგენილი განაცხადების განსაზღვრულ მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო, კონკურსი ჩაშლილად გამოცხადდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 84^1-ე და 84^2 მუხლებისა და „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილების საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

მუხლი 1. გამოცხადდეს სტაჟიორის შესარჩევი კონკურსი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორად სტრუქტურულ ერთეულში - ადმინისტრაციულ განყოფილებაში (საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის საქმიანობის მიმართულებით), მ/წლის 28 ნოემბრიდან, დანართის შესაბამისად, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) საშუალებით.

(დანართი წინამდებარე ბრძანებას თან ერთვის)

მუხლი 2. სტაჟირების მსურველმა პირმა კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადი წარადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით, ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით, კონკურსის გამოცხადების დღიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადმა სტრუქტურულმა ერთეულმა - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებამ უზრუნველყოს სტაჟირების მსურველ პირთა მიერ წარდგენილი განაცხადების განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, განაცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა.

მუხლი 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

2023 წლის 28 ნოემბრის №490 ბრძანების

დანართი

ვ ა კ ა ნ ს ი ა

თანამდებობის დასახელება

სტაჟიორი ადმინისტრაციულ განყოფილებაში (საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის საქმიანობის მიმართულებით)

კონკურსის ტიპი: სტაჟირება

ორგანიზაცია: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

კატეგორია: საფინანსო/საბიუჯეტო

განცხადების წარდგენის ვადა: 28.11.2023 – 12.12.2023

თანამდებობრივი სარგო: ანაზღაურების გარეშე

ადგილების რაოდენობა: 2

სამსახურის ადგილმდებარეობა: ქუთაისი

ფუნქციები

კომისიის დებულებით განსაზღვრული საფინანსო-საბიუჯეტო მიმართულების საკითხებზე მუშაობაში მონაწილეობის მიღება; კომისიის სხდომების მომზადებისა და ჩატარების უზრუნველყოფაში ხელშეწყობა; კომპეტენციის ფარგლებში საკრებულოში შემოსული დოკუმენტებისა და სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვასა და დასკვნების მომზადებაში მონაწილეობის მიღება; ხელმძღვანელის მიერ, კომპეტენციის ფარგლებში გაცემული დამატებითი დავალებების შესრულება

მოთხოვნები

მინიმალური განათლება: სტუდენტი

საკონკურსო თემატიკა:

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი";

საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ"

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

პროგრამის დასახელება, ცოდნის დონე: Microsoft Office Word – კარგი; Microsoft Office Excel - კარგი

საკონკურსო კომისიის მისამართი :

ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №3

დამატებითი მოთხოვნები

სტაჟიორად შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: იცის სახელმწიფო ენა; სწავლობს უმაღლესი განათლების პირველ (დამამთავრებელი სასწავლო წლის შემთხვევაში) ან მე-2 ან მე-3 საფეხურზე ან/და დასრულებული აქვს უმაღლესი განათლების ერთ-ერთი საფეხური, ასევე არის პროფესიული სტუდენტი ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული. პირი სტაჟიორად არ მიიღება, თუ: იგი ნასამართლევია განზრახი დანაშაულისთვის; იგი საჯარო სამსახურიდან გათავისუფლდა დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის და დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის გათავისუფლებიდან 1 წელი არ გასულა; მან სტაჟიორად მიღებისას არ წარადგინა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ან წარდგენილი ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ადასტურებს მის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტს; იგი სასამართლომ მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

დამატებითი ინფორმაცია

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა კანდიდატმა საკონკურსო განაცხადი უნდა წარადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით; სავალდებულოა: უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის-დიპლომის ან უნივერსიტეტიდან ან/და პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლებლიდან წარმოდგენილი ცნობის (რომლის მიხედვით დასტურდება, რომ კანდიდატი არის მე-4 კურსის სტუდენტი ან მინიჭებული აქვს ბაკალავრის ხარისხი, ან/და არის პროფესიული სტუდენტი ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული) ასლის განათლების ველში ატვირთვა, უცხო ენაზე გაცემული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში, ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი; კანდიდატმა შეავსოს სამოტივაციო წერილის ველი. სტაჟირების მსურველი პირის შეფასება ხდება გასაუბრების საფუძველზე; არაანაზღაურებადი სტაჟირების საერთო ვადა შეადგენს 2 (ორი) თვეს. გავლილი სტაჟირების ვადა ჩაითვლება შრომით სტაჟში; პირი სტაჟიორად მიიღება კონკურსის წესით, რაც გულისხმობს სტაჟირების მსურველი პირებისგან საუკეთესოს შერჩევას განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით, კომპეტენციების, ცოდნისა და მოტივაციის შეფასების საფუძველზე. კანდიდატი, რომლის მონაცემებიც არ შეესაბამება განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებს ან/და არასრულად ექნება წარმოდგენილი მითითებული დოკუმენტაცია, ვერ გააგრძელებს კონკურსის გასაუბრების ეტაპზე მონაწილეობას. გასაუბრების ჩატარების ზუსტი ადგილისა და თარიღის შესახებ კონკურსანტებს ეცნობებათ მათ მიერ აპლიკაციაში მითითებული ელექტრონული ფოსტის საშუალებით

გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

ადამიანური რესურსების მართვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს გასაუბრების საფუძველზე სტაჟირების მსურველი პირის შეფასებით, აპლიკაციების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვისა.

კონკურსის ეტაპები

განცხადების გადარჩევა

გასაუბრება

საკრებულოს თავმჯდომარე _____ ირაკლი შენგელია